# გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## განკარგულება № 77

2025 წლის 13 ივნისი
ქალაქი გორი

**ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტოს (ს/ნ 418469516) 2024 წლის ივნისიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ**

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტოს (ს/ნ 418469516) 2024 წლის ივნისიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტოს (ს/ნ 418469516) 2024 წლის ივნისიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის 58 ფურცლად ).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

**გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტოს 2024 წლის ივნისიდან 2025 წლის მაისამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში**

**შესავალი**

2024 წლის ივნისიდან 2025 წლის მაისამდე პერიოდში ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტოს თითოეულმა სტრუქტურულმა ერთეულმა განახორციელა საკისრებული მოვალეობა სამოქმედო გეგმის ფარგლებში მასზე დაკისრებული მოვალეობა.

ტურიზმის განყოფილებამ იმუშავა გორის ტურისტული პოტენციალის განვითარების, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებისა და საერთაშორისო კავშირების გაძლიერების მიმართულებით.

მუნიციპალური განვითარების განყოფილებამ განახორციელა ახალგაზრდული, საგანმანათლებლო, სამეწარმეო და გარემოსდაცვითი ინიციატივები, უზრუნველყო ადგილობრივი თემების გაძლიერება და ხელი შეუწყო საერთაშორისო თანამშრომლობას.

დაცული ლანდშაფტის მართვის განყოფილებამ ფოკუსი გააკეთა ტანისა და თეძმის ეკოსისტემის დაცვაზე, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგსა და ეკო-განათლებაზე. განყოფილება აქტიურად ჩაერთო SMART მონიტორინგის სისტემის დანერგვაში, რეინჯერების გადამზადებაში და თემთან თანამშრომლობის გაღრმავებაში, ასევე ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერილი პროექტის განხორციელებაში რომელიც მიზნად ისახავს ტანისა და თეძმის დაცული ტერიტორიების განვითარებას.

სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილებამ უზრუნველყო მნიშვნელოვანი ტექნიკური და საკადასტრო მომსახურება გორის მუნიციპალიტეტისთვის, რაც ხელს უწყობს ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას.

**ტურიზმის განყოფილება** გორის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. მრავალფეროვანი ბუნებრივი, კულტურული და ისტორიული რესურსები ქმნის ხელსაყრელ საფუძველს მრავალმხრივი ტურისტული შეთავაზებებისთვის. აღნიშნული მიმართულების განვითარებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის განვითარების და ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტოს ტურიზმის განყოფილება,

რომელიც წლის განმავლობაში ახორციელებს პროექტებს როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე.

2024-2025 წლებში განხორციელდა მრავალი ინიციატივა ტურისტულ-სპორტული, კულტურულ-საგანმანათლებლო, გასტრონომიული და ეკოლოგიური მიმართულებებით. ტურიზმის განყოფილებამ მხარი დაუჭირა ადგილობრივი საზოგადოების გააქტიურებას, ორგანიზება გაუწია საგანმანათლებლო კურსებს, გამოფენა-გაყიდვებს, პროფესიული ტრენინგებსა და ახალგაზრდულ ტურისტულ ღონისძიებებს.

მინი გალერეაში მოეწყო ეთნოგრაფიული კუთხე და თემატური შეხვედრები, მოეწყო სხვადასხვა ტრენინგი სოციალურ მედიასა და ინკლუზიურ ტურიზმზე, დაიწყო ინიციატივა დასაქმების მიღმა მყოფი ქალებისთვის სახელოსნოებსა და ადგილობრივი პროდუქციის განვითარებაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდა მეკლდეურების მონაწილეობა ეროვნული მნიშვნელობის სპორტულ შეჯიბრებებში.

ტურიზმის განყოფილებამ აქტიურად ითანამშრომლა საერთაშორისო და ეროვნულ პარტნიორებთან, რაც გამოიხატა EU BSB პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგსა და მონაწილეობაში საერთაშორისო გამოფენებში, მათ შორის – ბათუმში ჩატარებულ EBIT 2024 და EBIT 2025 გამოფენებზე.

განყოფილებამ განახორციელა ტურისტული მარშრუტების გადამოწმება და ახალი ობიექტების რუკაზე დატანა. პარალელურად მიმდინარეობს კითხვარზე დაფუძნებული კვლევა უცხოელ ტურისტებთან მომსახურების ხარისხის შესაფასებლად. განყოფილებაში შეიქმნა ჯგუფები, რომლებიც იკვლევენ ახალი ტურისტული ლოკაციების პოტენციალს, საოჯახო სასტუმროებს, ხელოსნებსა და კულტურულ ობიექტებს.

2024 წელს გორის მუნიციპალიტეტში 441 085 ტურისტი სტუმრობდა, საიდანაც 337 582 უცხოელი იყო. 2025 წლის 3 იანვრიდან 19 მაისამდე პერიოდში კი მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა 71 797 ვიზიტორს, აქედან 57 624 უცხოელი.

ტურიზმის განყოფილების საქმიანობა მოიცავს კვლევით, საკომუნიკაციო და პრაქტიკულ კომპონენტებს, რაც გორის მუნიციპალიტეტს აყალიბებს როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტურისტულ ცენტრს რეგიონში.

## მუნიციპალური განვითარების განყოფილება

მუნიციპალური განვითარების განყოფილებამ 2024-2025 წლებში განახორციელა არაერთი პროექტი, რომელიც ადგილობრივი ინფრასტრუქტურის, ეკონომიკისა და სოციალური პოლიტიკის გაძლიერებას ისახავდა მიზნად. განყოფილება აქტიურად თანამშრომლობდა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა გაეზარდა დაფინანსების მოზიდვის შესაძლებლობები და გაეფართოებინა მომსახურების მასშტაბი.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახალგაზრდული პოლიტიკისა და საერთაშორისო მოხალისეობრივი თანამშრომლობის გაძლიერებას. განხორციელდა არაერთი პროექტი ევროპის სოლიდარობის კორპუსისა და „ერასმუს+“-ის პროგრამის ფარგლებში, რაც შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდებს მონაწილეობა მიიღონ არაფორმალური განათლების პროცესში. ორი გერმანელი მოხალისის ჩართულობით დაიგეგმა და განხორციელდა ინგლისური ენის სასწავლო კურსი ადგილობრივი სკოლის მოსწავლეებისთვის.

გორის მუნიციპალიტეტში ასევე დაიწყო გერმანული ენის უფასო კურსები ორგანიზაცია „CIVIL FORUM”-თან თანამშრომლობით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა ახალგაზრდამ. პარალელურად, გორელი ახალგაზრდები ორ კვირიან სასწავლო პროგრამაში მონაწილეობდნენ პოლონეთში, „SPEAK UP! Every Voice Matters“-ის ფარგლებში.

მუნიციპალური განვითარების განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო პროექტების დაგეგმვაში და პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებაში. განყოფილების წარმომადგენლები ჩაერთვნენ ევროპის სოლიდარობის კორპუსის ტრენინგებში სლოვაკეთსა და სხვა ქვეყნებში, რაც ახალ პარტნიორობებსა და მოხალისეობრივი პროექტების განვითარების შესაძლებლობებს ქმნის.

ევროპის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სააგენტომ წარადგინა თავისი წარმატებული პროექტები. წარმოდგენილი იყო ასევე ტურიზმის განყოფილების ხალხური რეწვის მინი გალერეის ვორქშოპები.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით განხორციელდა არაერთი ინიციატივა, მათ შორის ფონდი ტასოსა და გაეროს მხარდაჭერით. სააგენტოს მიერ ატენში შეიქმნა სათემო ჯგუფი „ბარბარე“, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა საგანმანათლებლო და სამეწარმეო პროგრამებში. მათი მონაწილეობით განხორციელდა ციფრული წიგნიერების სწავლების პროექტი „ატენის მედია წიგნიერება“.

დასაქმების სურვილის მქონე ქალებისთვის გამოცხადდა მცირე საგრანტო კონკურსი, რომელშიც 5 ქალის განაცხადი დასაფინანსებლად გადავიდა. მათთან ერთად შეიქმნა დოკუმენტური ფილმი „ქალები ატენის ხეობიდან“ რომელიც ასახავს ადგილობრივი ქალების ყოფას, მათ მიღწევებსა და გამოწვევებს.

მუნიციპალური განვითარების განყოფილებამ, გერმანელ მოხალისეებთან ერთად, განახორციელა გარემოსდაცვითი პროექტი „მწვანე გორი“, რომელიც ნიდერლანდური ორგანიზაცია The Tree Party-ს მხარდაჭერით დაფინანსდა. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები, ეკო-აქტივობები და გასვლითი სესიები.

ცირკულარული ეკონომიკისა და ბიომრავალფეროვნების საკითხებზე სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა საგანმანათლებლო სესია სტუდენტებისთვის.

განხორციელდა შიდა საკადრო კვლევა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის.

ასევე, გაიმართა მასშტაბური დასუფთავება-მოსწორების აქცია მდინარე ტანას ხეობაში, რომელშიც ადგილობრივებთან ერთად, რეინჯერები და მოხალისეებიც მონაწილეობდნენ.

მოსწავლეთა თვითმმართველობის გაძლიერების პროექტის ფარგლებში სააგენტოს ინიციატივით სკოლის წარმომადგენლები ეწვივნენ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA), ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს, დაიწყო პროგრამირების კურსი Code-IT. მოსწავლეებმა შეისწავლეს HTML, CSS და JavaScript-ის საფუძვლები და წარმატებით დაასრულეს კურსი.

გორის მუნიციპალიტეტი ჩაერთო ევროკავშირის და UNDP-ის ინიციატივაში M4EG, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საინვესტიციო კატალოგის მოსამზადებლად. განაცხადი წარმატებით გადავიდა მეორე ეტაპზე და მომზადდა გორის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო კატალოგი. ***(იხ. საინვესტიციო კატალოგი)***

სააგენტომ მოიპოვა გრანტი - პროექტ „DALIA – Befriending the River“, რომელიც მიზნად ისახავს მდინარე ტანას ეკოსისტემის აღდგენასა და მდგრადი წყლის მართვის განვითარებას. პროექტის ღირებულება შეადგენს 100 000 ევროს და ეფუძნება საერთაშორისო პრაქტიკებს.

განყოფილება აქტიურად მუშაობს კომუნიკაციაზე სოციალურ მედიაში. ფეისბუქსა და ინსტაგრამზე რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია სააგენტოს საქმიანობასა და სიახლეებზე.

მუნიციპალური განვითარების განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს ბრიტანული უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთამ მდ. ათრევას ხეობაში (ატენის

ადმინისტრაციული ერთეული) ადგ. მოსახლეობის ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით, ასევე ხეობის სტრატეგიული განვითარების კუთხით.

## ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის მართვის განყოფილება

თავსუფალი უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობით მოეწყო ხიდების და ბილიკების აღდგენა, დამონტაჟდა უსაფრთხოების თოკები, დაინერგა TikTok ეკო-გამოწვევა, შეიქმნა „რეინჯერის ბიბლიოთეკა“, ხოლო ბოშურის სკოლაში ჩატარდა ინგლისური ენის უფასო გაკვეთილები.

დონორებთან თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარეობს ტყის ინვენტარიზაცია და საქმიანი ეზოს პროექტირება ჩეხური ორგანიზაცია UHUL-ის დახმარებით. პრიორიტეტულად შეირჩა ორი მიწის ნაკვეთი, რომელთაგან ერთზე უწინ უკანონო ტყის ჭრა ხორციელდებოდა, მიმდინარე წელს კი დაიწყება საქმიანი ეზოს მოწყობა.

ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით დაიწყო დაცული ლანდშაფტის მართვის გეგმის შემუშავება პროექტის „ახალი ჰორიზონტები“- **ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტისა და მოსახლეობის ჰარმონიული განვითარებისთვის** ფარგლებში. გეგმა ითვალისწინებს ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვას და თემის ჩართულობის ზრდას.

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი წლიდან წლამდე უმჯობესდება: რეინჯერებმა ფოტო ხაფანგებით ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე მობინადრე სახეობები: მურა დათვი, შველი, ფოცხვერი, გარეული ღორი დააფიქსირეს.

**დაცული ლანდშაფტის ეკო** - საგანმანათლებლო კამპანიები მოიცავდა ტყის საერთაშორისო დღის კვირეულს, რომელსაც ათზე მეტი სკოლა და 150-ზე მეტი მოსწავლე ესწრებოდა.კვირეულის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები ადგილობრივ საჯარო სკოლებში, საგანმანათლებლო აქტივობა მოეწყო გორის კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის ბენეფიციარებისთვის.

დაიწყო თანამშრომლობა ადგილობრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და უნივერსიტეტთან რეინჯერის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით. მიმდინარე წელს რეინჯერებმა გაიარეს დრონის მართვის ტრენინგი და მიიღეს საჭირო ეკიპირება.

დასუფთავების არაერთი აქცია ჩატარდა ტანისა და თეძმის დაცულ ტერიტორიებზე ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად.

2025 წელს ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის მართვის განყოფილებამ საერთაშორისო ორგანიზაცია *Caucasus Nature Fund* (CNF)-თან თანამშრომლობით

დაიწყო SMART მონიტორინგის სისტემის დანერგვა. SMART (Spatial Monitoring and Reporting Tool) წარმოადგენს გლობალურად აღიარებულ ციფრულ პლატფორმას, რომელიც საშუალებას აძლევს რეინჯერებს ეფექტურად მართონ და დააფიქსირონ მონიტორინგისა და პატრულირების შედეგები, შეაფასონ საფრთხეები და გააძლიერონ რეაგირების მექანიზმები დაცულ ტერიტორიებზე.

სისტემის გამოყენება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დაცული ლანდშაფტის მართვის ხარისხს, განსაკუთრებით უკანონო ნადირობის, ტყის ჭრისა და სხვა სამართალდარღვევების პრევენციის მიმართულებით. SMART-ის საშუალებით შესაძლებელი იქნება რეალური დროის მონაცემების ანალიზი და ვიზუალიზაცია, რაც ხელს შეუწყობს სტრატეგიულ გადაწყვეტილებების მიღებას, რესურსების უკეთ გადანაწილებასა და რეინჯერების საქმიანობის ეფექტურობას.

ამ ეტაპზე რეინჯერები გადიან გადამზადებას SMART-ის სისტემის გამოყენების, მონაცემების შეგროვებისა და მათი ანალიზის მიმართულებით. ეს პროცესები ხელს შეუწყობს დაცული ლანდშაფტის ზედამხედველობის სტანდარტების საერთაშორისო დონეზე აყვანას და გაზრდის ადმინისტრაციის ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს.

2025 წლის აპრილში მოეწყო შეხვედრები ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის სოფლებში მცხოვრებ ადგილობრივებთან, მუზეუმებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან. შეხვედრების მიზანი იყო ლანდშაფტის ძირითადი ეკოლოგიური და კულტურული ფასეულობების იდენტიფიცირება და იმ საფრთხეების გამოვლენა, რომლებიც მათ ზიანს აყენებს. მიღებული დასკვნები გამოყენებული იქნება სამომავლო მართვის და პრიორიტეტების დაგეგმვის პროცესში.

ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებისა და ახალგაზრდების შემოქმედებითი ჩართულობის მიზნით, ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის მართვის განყოფილებამ მოაწყო ეკო-სცენარების კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდების ჩართულობას გარემოს დაცვის საკითხებზე დაფუძნებული ნარატიული და თეატრალური ფორმატების შექმნაში. კონკურსში მონაწილეობდნენ როგორც ინდივიდუალური მოსწავლეები, ასევე სკოლის გუნდები. წარმოდგენილი სცენარები ასახავდა გარემოსდაცვით პრობლემებს, მათი გადაჭრის გზებს და თემის როლს ბუნების შენარჩუნებაში. შემოქმედებით მიდგომასთან ერთად, შეფასდა თემის შესაბამისობა, გარემოსდაცვითი ღირებულებების გამოხატულება და ინოვაციური იდეები. გამარჯვებული სცენარების ავტორებს გადაეცათ სერტიფიკატები და საპატიო საჩუქრები, ხოლო საუკეთესო ნამუშევრები დაინერგა ეკო-განათლების პროგრამებში.

დაცული ლანდშაფტის მართვის განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო როგორც ტურიზმის სეზონის გახსნის ღონისძიებაში, ასევე დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ რეგიონულ აქტივობაში. აღნიშნულ ღონისძიებებზე განყოფილებამ ფართო საზოგადოებას გააცნო ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიის

მნიშვნელობა, რეინჯერების საქმიანობა, მათი აღჭურვილობა და დაცული ტერიტორიების ეკოსისტემური ფუნქცია. პრეზენტაციებმა ხელი შეუწყო საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებასა და ტურისტული ინტერესის ზრდას დაცულ ტერიტორიებზე. რეინჯერებმა დამთვალიერებლებს წარუდგინეს ყოველდღიური საქმიანობის ვიზუალური მასალა და უპასუხეს სტუმართა შეკითხვებს, რაც კიდევ უფრო გააღრმავა დაინტერესება დაცული ლანდშაფტის მიმართ.

დაცული ლანდშაფტის განყოფილებაში მიმდინარეობს საგამოფენო-საგანმანათლებლო ცენტრის მოწყობის პროცესი. აღნიშნული სივრცე იქნება ინტერაქტიური პლატფორმა, რომელიც ემსახურება როგორც ვიზიტორების ინფორმირებას ბიომრავალფეროვნების, კულტურული მემკვიდრეობისა და ეკოსისტემური სერვისების შესახებ, ასევე ადგილობრივი თემის, ახალგაზრდებისა და ტურისტების გარემოსდაცვით განათლებას.

ცენტრის არსებობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ლანდშაფტის ინტერპრეტაციას, შეამცირებს ვიზიტორების ზეწოლას ბუნებრივ გარემოზე და ხელს შეუწყობს თემისა და ვიზიტორების ცნობიერების ამაღლებას დაცული ტერიტორიების ღირებულებების შესახებ. ცენტრი აღიჭურვება თანამედროვე ვიზუალური, საგანმანათლებლო და ინტერპრეტაციული ელემენტებით, რაც ვიზიტორებს მისცემს შესაძლებლობას, უკეთ გაეცნონ ტანისა და თეძმის ლანდშაფტის უნიკალურობას.

## ფინანსური საქმიანობა

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტოს 2024 წლის ბიუჯეტი დაგეგმვის პროცესში განსაზღვრული იყო, როგორც გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დამტკიცებული სუბსიდია. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა 2024 წლის ასიგნება 1086360 ლარის ოდენობით,დაზუსტებული ბიუჯეტი განისაზღვრა 1309904 ლარის ოდენობით.

საშტატო განრიგი განისაზღვრა 31 საშტატო ერთეულით, თანამდებობრივი სარგო - 435588 ლარით. ასევე შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა განისაზღვრა 68 ერთეულით და შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივი სარგო 601487 ლარი.

2024 წლის განმავლობაში გადარიცხვითი ოპერაციები განხორციელებულია კანონმდებლობის შესაბამისად.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს მიერ 2024 წლის განმავლობაში მუხლობრივად გაწეული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1. შრომის ანაზღაურების მუხლში (საშტატო განრიგის მიხედვით) დაიხარჯა - 407580 ლარი;
2. ჯილდო-პრემიის მუხლში - 27148 ლარი;
3. დანამატი - 353 ლარი;
4. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში დაიხარჯა 600897 ლარი,მ.შ პრემია - 42446 ლარი;დანამატი - 1396 ლარი;

4. მივლინების მუხლში ქვეყნის შიგნით - 7307 ლარი;
5. მივლინების მუხლში ქვეყნის გარეთ - 4858 ლარი;
6. ოფისის ხარჯის მუხლში - 78520 ლარი;
7. ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის მუხლში 28842 ლარი;
8. სხვა დანარჩენი საქ. და მომსახ. მუხლში – 28549 ლარი;
9. წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლში - 12039 ლარი.
10. სოციალური უზრუნველყოფის მუხლში - 11095 ლარი;
11. სხვა ხარჯების მუხლში - 420 ლარი;
12. არაფინანსური აქტივებიდან– 64265 ლარი;

რაც შეეხება საკუთარ შემოსულობებს, ნაშთი წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 11327 ლარს,2024 წლის განმავლობაში შემოსულმა თანხებმა შეადგინა 8546 ლარი,მ.შ ევროკომისიის ევროპის სოლიდარობის კორპუსის (ESC) პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის: აღმოაჩინე კავკასია" განსახოციერლებლად, სააგენტოს სასარგებლოდ ჩაირიცხა მოპოვებული გრანტის ტრანში 7612,64 ლარის ოდენობით,

საკუთარი სახსრების წყაროდან დაიხარჯა - 14929 ლარი.
სააგენტოს თანხების ხარჯვა ხორციელდება წინასწარ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.

2025 წლის ბიუჯეტი დაგეგმვის პროცესში განსაზღვრული იყო, როგორც გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დამტკიცებული სუბსიდია. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა 2025 წლის ასიგნება 1322400 ლარის ოდენობით,დაზუსტებული ბიუჯეტი განისაზღვრა 1309904 ლარის ოდენობით.
საშტატო განრიგი განისაზღვრა 32 საშტატო ერთეულით, თანამდებობრივი სარგო - 540700 ლარით. ასევე შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა განისაზღვრა 76 ერთეულით და შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივი სარგო 670479 ლარი.

2025 წლის 01 იანვრიდან 16 მაისამდე პერიოდში გადარიცხვითი ოპერაციები განხორციელებულია კანონმდებლობის შესაბამისად.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს მიერ 2025 წლის 01 იანვრიდან 16 მაისამდე პერიოდის განმავლობაში მუხლობრივად გაწეული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

5. შრომის ანაზღაურების მუხლში (საშტატო განრიგის მიხედვით) დაიხარჯა - 151355 ლარი;
6. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში დაიხარჯა 242812 ლარი;
4. მივლინების მუხლში ქვეყნის შიგნით - 2930 ლარი;
5. ოფისის ხარჯის მუხლში - 36749 ლარი;
7. ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის მუხლში 11387 ლარი;
8. სხვა დანარჩენი საქ. და მომსახ. მუხლში – 551 ლარი;

9. წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლში - 1920 ლარი.

10. სოციალური უზრუნველყოფის მუხლში - 653 ლარი;

11. სხვა ხარჯების მუხლში - 175 ლარი;

12. არაფინანსური აქტივებიდან– 7530 ლარი;

რაც შეეხება საკუთარ შემოსულობებს, ნაშთი წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 4986 ლარს.

2025 წლის განმავლობაში საკუთარ შემოსავლებში ბრუნვებს ადგილი არ ქონია.

## შესყიდვები

2024 წლის შესყიდვების წლიურ გეგმა შეადგენს 315000 ლარს.

2024 წლის განმავლობაში განხორციელდა 154 შესყიდვა, საიდანაც 144 შესყიდვაა გამარტივებული შესყიდვა მონეტარული ზღვრის დაცვით, სახელშეკრულებო ღირებულებით 180872,37 (ასოთხმოციათასრვაასსამოცდათორმეტი ლარი და 37 თეთრი) ლარი და 9 შესყიდვა კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში, სახელშეკრულებო ღირებულებით 21037,47 (ოცდაერთიათასოცდაჩვიდმეტი ლარი და 47 თეთრი) ლარი და ერთი ტენდერი სახელშეკრულებო ღირებულებით 26764,6 (ოცდაექვსიათასშვიდასსამოცდაოთხი ლარი და 60 თეთრი).

2025 წლის 14 მაისის ჩათვლით ტენდერი არ გამოგვიცხადებია, ხოლო გამარტივებული შესყიდვით გაფორმებული გვაქვს 36 ხელშეკრულება აქედან 33 გამარტივებული შესყიდვა ღირებულებით 42998,3 (ორმოცდაორი ათას ცხრაასოთხმოცდათვრამეტი ლარი და 30 თეთრი) და 3 კონსოლიდირებული ტენდერის მეშვეობით ღირებულებით 17400.68 (ჩვიდმეტიათასოთხასი ლარი და 68 თეთრი).

## საქმის წარმოება

სააგენტოში შემოსულია 293 (ორას ოთხმოცდაცამეტი) წერილი, რომელიც გატარდა და გადაეცა შემდგომი რეაგირებისთვის, ასევე იწარმოა გასული დოკუმენტაციის რეესტრი, რომლის შედეგადაც სააგენტოდან გასულია 296 (ორას ოთხმოცდათექვსმეტი) წერილი .ასევე იწარმოვა ბრძანებები, სააგენტოს მიერ გაცემულია 180 (ას ოთხმოცი) ბრძანება .სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის

განყოფილებისათვის ხდებოდა წერილების დროული მიწოდება და რეესტრი, ასევე მათი წერილების აღრიცხვა და შესრულების ვადების მონიტორინგი.

ასევე უზრუნველყოფილ იქნა თანამშრომელთა სამივლინებო დოკუმენტაციის მოწესრიგება, ტაქსით სარგებლობის ტალონების აღრიცხვა მოწესრიგება და შემდგომში ბუღალტერისთვის გადაცემა. კერძოდ გაცემულია 118 (ას თვრამეტი) ტალონი.

2025 წლის განმავლობაში იწარმოა შემოსული დოკუმენტაციის რეესტრი, რომლის შედეგადაც სააგენტოში შემოსულია 119 (ასცხრამეტი) წერილი, რომელიც გატარდა და გადაეცა შემდგომი რეაგირებისთვის, ასევე იწარმოა გასული დოკუმენტაციის რეესტრი, რომლის შედეგადაც სააგენტოდან გასულია 126 (ასოცდაექვსი) წერილი . ასევე იწარმოვა ბრძანებები, სააგენტოს მიერ გაცემულია 94 (ოთხმოცდათოთხმეტი) ბრძანება .სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილებისათვის ხდებოდა წერილების დროული მიწოდება და რეესტრი, ასევე მათი წერილების აღრიცხვა და შესრულების ვადების მონიტორინგი.

ასევე უზრუნველყოფილ იქნა თანამშრომელთა სამივლინებო დოკუმენტაციის მოწესრიგება და შემდგომში ბუღალტერისთვის გადაცემა..

ამ დროის მანძილზე ხორციელდებოდა თანამშრომელთა საჭიროებების კვლევა, რათა ხელი არ შეშლოდათ გამართულ ფუნქციონირებაში.

მოწესრიგდა და ელექტრონულად დაარქივდა თანამშრომელთა პირადი საქმეები.

მიმდინარეობს არქივის გადახედვა და ჩამოსაწერი დოკუმენტაციის გადაცემა შესაბამის დაწესებულებაში.

ასევე ხორციელდება დაწყებულ საქმიანობებზე მონიტორინგი.

## შრომის უსაფრთხოება

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტოში შრომის უსაფრთხოების საკითხები მკაცრად რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. მომზადდა და დამტკიცდა რამდენიმე შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი: შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, რისკის შეფასების წესი და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

დოკუმენტების საფუძველზე სააგენტოში განხორციელდა:

- შენობების პერიოდული შემოწმება კონსტრუქციული მედეგობისა და საინჟინრო-ტექნიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით;
- სისტემატური მონიტორინგი საფრთხეების აღმოჩენის და რისკების შეფასების მიზნით;
- სახანძრო უსაფრთხოების გაძლიერება შესაბამისი ინვენტარით;
- თანამშრომლების გადამზადება პირველადი სამედიცინო დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის თემატიკაზე გარემოს დაცვის სამინისტროს პროექტის ფარგლებში;
- საევაკუაციო გეგმარების და საინფორმაციო ნიშნების მომზადება;
- უსაფრთხოების სპეციალური ჟურნალების შესყიდვის მოთხოვნა, რაც უზრუნველყოფს ჩატარებული ტრენინგების, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვას.

შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვა მიზნად ისახავს სააგენტოში უსაფრთხო და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას, რისკების შემცირებას და საგანგებო სიტუაციებზე სწრაფ რეაგირებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბუნებრივ გარემოში მომუშავე რეინჯერებისა და საველე პერსონალისთვის.

## სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფა

2025 წლის 1 იანვრიდან 19 მაისამდე პერიოდში განყოფილებაში მერიიდან შემოვიდა 78 წერილი და მომზადდა 48 საპასუხო წერილი. ყველა დოკუმენტი აღირიცხა როგორც ჟურნალში, ისე ელექტრონულ ბაზაში. 2024 წლის საანგარიშო პერიოდში კი განყოფილებამ მიიღო 175 წერილი და გასცა 159 საპასუხო წერილი.

2024 წლის ივნისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით შესრულდა მნიშვნელოვანი ტექნიკური სამუშაოები, მათ შორის:

- მომზადდა საკადასტრო ნახაზები 3,294,282 კვ.მ ფართობისთვის;
- შედგა 8 სიტუაციური ნახაზი საერთო ფართობით 1609 კვ.მ;
- დაკვალულ იქნა 252 წერტილი, ჯამში 6040 კვ.მ;
- შესრულდა შიდა აზომვითი ნახაზები 6543.89 კვ.მ ფართობით;
- დაკვალული იქნა 2750 მ სიგრძის ხაზოვანი ნაგებობები და 120 ბოძი;
- განხორციელდა მიწის ნაკვეთის გადამოწმება;
- შემუშავდა წმინდაწყლის დასახლებაში ახალი დასვენების პარკის დიზაინის კონცეფცია და გეგმარება, 133,162 კვ.მ ფართობზე.

სააგენტომ უზრუნველყო სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლებისთვის სპეციალური სამუშაო ფეხსაცმლის შეძენა და მათი სერტიფიცირება. აღნიშნულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო სამუშაო პროცესის უსაფრთხოებისა და პროფესიული სტანდარტების გაუმჯობესებას.

აღნიშნული საქმიანობები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გორის მუნიციპალიტეტში მიწის მართვის, ინფრასტრუქტურის დაგეგმარებისა და ურბანული განვითარების პროცესების გამართულად წარმართვას.

**ტურიზმის განყოფილება** გორის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. მრავალფეროვანი ბუნებრივი, კულტურული და ისტორიული რესურსები ქმნის ხელსაყრელ საფუძველს მრავალმხრივი ტურისტული შეთავაზებებისთვის. აღნიშნული მიმართულების განვითარებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის განვითარების და ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტოს ტურიზმის განყოფილება, რომელიც წლის განმავლობაში ახორციელებს პროექტებს როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე.

2024-2025 წლებში განხორციელდა მრავალი ინიციატივა ტურისტულ-სპორტული, კულტურულ-საგანმანათლებლო, გასტრონომიული და ეკოლოგიური მიმართულებებით. ტურიზმის განყოფილებამ მხარი დაუჭირა ადგილობრივი საზოგადოების გააქტიურებას, ორგანიზება გაუწია საგანმანათლებლო კურსებს, გამოფენა-გაყიდვებს, პროფესიული ტრენინგებსა და ახალგაზრდულ ტურისტულ ღონისძიებებს.

მინი გალერეაში მოეწყო ეთნოგრაფიული კუთხე და თემატური შეხვედრები, მოეწყო სხვადასხვა ტრენინგი სოციალურ მედიასა და ინკლუზიურ ტურიზმზე, დაიწყო ინიციატივა დასაქმების მიღმა მყოფი ქალებისთვის სახელოსნოებსა და ადგილობრივი პროდუქციის განვითარებაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდა მეკლდეურების მონაწილეობა ეროვნული მნიშვნელობის სპორტულ შეჯიბრებებში.

ტურიზმის განყოფილებამ აქტიურად ითანამშრომლა საერთაშორისო და ეროვნულ პარტნიორებთან, რაც გამოიხატა EU BSB პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგსა და მონაწილეობაში საერთაშორისო გამოფენებში, მათ შორის – ბათუმში ჩატარებულ EBIT 2024 და EBIT 2025 გამოფენებზე.

განყოფილებამ განახორციელა ტურისტული მარშრუტების გადამოწმება და ახალი ობიექტების რუკაზე დატანა. პარალელურად მიმდინარეობს კითხვარზე დაფუძნებული კვლევა უცხოელ ტურისტებთან მომსახურების ხარისხის შესაფასებლად. განყოფილებაში შეიქმნა ჯგუფები, რომლებიც იკვლევენ ახალი

ტურისტული ლოკაციების პოტენციალს, საოჯახო სასტუმროებს, ხელოსნებსა და კულტურულ ობიექტებს.

2024 წელს გორის მუნიციპალიტეტში 441 085 ტურისტი სტუმრობდა, საიდანაც 337 582 უცხოელი იყო. 2025 წლის 3 იანვრიდან 19 მაისამდე პერიოდში კი მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა 71 797 ვიზიტორს, აქედან 57 624 უცხოელი.

ტურიზმის განყოფილების საქმიანობა მოიცავს კვლევით, საკომუნიკაციო და პრაქტიკულ კომპონენტებს, რაც გორის მუნიციპალიტეტს აყალიბებს როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტურისტულ ცენტრს რეგიონში.

## მუნიციპალური განვითარების განყოფილება

მუნიციპალური განვითარების განყოფილებამ 2024-2025 წლებში განახორციელა არაერთი პროექტი, რომელიც ადგილობრივი ინფრასტრუქტურის, ეკონომიკისა და სოციალური პოლიტიკის გაძლიერებას ისახავდა მიზნად. განყოფილება აქტიურად თანამშრომლობდა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა გაეზარდა დაფინანსების მოზიდვის შესაძლებლობები და გაეფართოებინა მომსახურების მასშტაბი.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახალგაზრდული პოლიტიკისა და საერთაშორისო მოხალისეობრივი თანამშრომლობის გაძლიერებას. განხორციელდა არაერთი პროექტი ევროპის სოლიდარობის კორპუსისა და „ერასმუს+"-ის პროგრამის ფარგლებში, რაც შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდებს მონაწილეობა მიიღონ არაფორმალური განათლების პროცესში. ორი გერმანელი მოხალისის ჩართულობით დაიგეგმა და განხორციელდა ინგლისური ენის სასწავლო კურსი ადგილობრივი სკოლის მოსწავლეებისთვის.

გორის მუნიციპალიტეტში ასევე დაიწყო გერმანული ენის უფასო კურსები ორგანიზაცია „CIVIL FORUM"-თან თანამშრომლობით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა ახალგაზრდამ. პარალელურად, გორელი ახალგაზრდები ორ კვირიან სასწავლო პროგრამაში მონაწილეობდნენ პოლონეთში, „SPEAK UP! Every Voice Matters"-ის ფარგლებში.

მუნიციპალური განვითარების განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო პროექტების დაგეგმვაში და პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებაში. განყოფილების წარმომადგენლები ჩაერთვნენ ევროპის სოლიდარობის კორპუსის ტრენინგებში სლოვაკეთსა და სხვა ქვეყნებში, რაც ახალ პარტნიორობებსა და მოხალისეობრივი პროექტების განვითარების შესაძლებლობებს ქმნის.

ევროპის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სააგენტომ წარადგინა თავისი წარმატებული პროექტები. წარმოდგენილი იყო ასევე ტურიზმის განყოფილების ხალხური რეწვის მინი გალერეის ვორქშოპები.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით განხორციელდა არაერთი ინიციატივა, მათ შორის ფონდი ტასოსა და გაეროს მხარდაჭერით. სააგენტოს მიერ ატენში შეიქმნა სათემო ჯგუფი „ბარბარე“, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა საგანმანათლებლო და სამეწარმეო პროგრამებში. მათი მონაწილეობით განხორციელდა ციფრული წიგნიერების სწავლების პროექტი „ატენის მედია წიგნიერება“.

დასაქმების სურვილის მქონე ქალებისთვის გამოცხადდა მცირე საგრანტო კონკურსი, რომელშიც 5 ქალის განაცხადი დასაფინანსებლად გადავიდა. მათთან ერთად შეიქმნა დოკუმენტური ფილმი „ქალები ატენის ხეობიდან“ რომელიც ასახავს ადგილობრივი ქალების ყოფას, მათ მიღწევებსა და გამოწვევებს.

მუნიციპალური განვითარების განყოფილებამ, გერმანელ მოხალისეებთან ერთად, განახორციელა გარემოსდაცვითი პროექტი „მწვანე გორი“, რომელიც ნიდერლანდური ორგანიზაცია The Tree Party-ს მხარდაჭერით დაფინანსდა. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები, ეკო-აქტივობები და გასვლითი სესიები.

ცირკულარული ეკონომიკისა და ბიომრავალფეროვნების საკითხებზე სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა საგანმანათლებლო სესია სტუდენტებისთვის.

განხორციელდა შიდა საკადრო კვლევა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის.

ასევე, გაიმართა მასშტაბური დასუფთავება-მოსწორების აქცია მდინარე ტანას ხეობაში, რომელშიც ადგილობრივებთან ერთად, რეინჯერები და მოხალისეებიც მონაწილეობდნენ.

მოსწავლეთა თვითმმართველობის გაძლიერების პროექტის ფარგლებში სააგენტოს ინიციატივით სკოლის წარმომადგენლები ეწვივნენ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA), ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს, დაიწყო პროგრამირების კურსი Code-IT. მოსწავლეებმა შეისწავლეს HTML, CSS და JavaScript-ის საფუძვლები და წარმატებით დაასრულეს კურსი.

გორის მუნიციპალიტეტი ჩაერთო ევროკავშირის და UNDP-ის ინიციატივაში M4EG, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საინვესტიციო კატალოგის მოსამზადებლად. განაცხადი წარმატებით გადავიდა მეორე ეტაპზე და მომზადდა გორის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო კატალოგი.

სააგენტომ მოიპოვა გრანტი - პროექტ „DALIA – Befriending the River“, რომელიც მიზნად ისახავს მდინარე ტანას ეკოსისტემის აღდგენასა და მდგრადი წყლის მართვის განვითარებას. პროექტის ღირებულება შეადგენს 100 000 ევროს და ეფუძნება საერთაშორისო პრაქტიკებს.

განყოფილება აქტიურად მუშაობს კომუნიკაციაზე სოციალურ მედიაში. ფეისბუქსა და ინსტაგრამზე რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია სააგენტოს საქმიანობასა და სიახლეებზე.

მუნიციპალური განვითარების განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს ბრიტანული უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთამ მდ. ათრევას ხეობაში (ატენის ადმინისტრაციული ერთეული) ადგ. მოსახლეობის ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით, ასევე ხეობის სტრატეგიული განვითარების კუთხით.

## ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის მართვის განყოფილება

თავსუფალი უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობით მოეწყო ხიდების და ბილიკების აღდგენა, დამონტაჟდა უსაფრთხოების თოკები, დაინერგა TikTok ეკო-გამოწვევა, შეიქმნა „რეინჯერის ბიბლიოთეკა“, ხოლო ბოშურის სკოლაში ჩატარდა ინგლისური ენის უფასო გაკვეთილები.

დონორებთან თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარეობს ტყის ინვენტარიზაცია და საქმიანი ეზოს პროექტირება ჩეხური ორგანიზაცია UHUL-ის დახმარებით. პრიორიტეტულად შეირჩა ორი მიწის ნაკვეთი, რომელთაგან ერთზე უწინ უკანონო ტყის ჭრა ხორციელდებოდა, მიმდინარე წელს კი დაიწყება საქმიანი ეზოს მოწყობა.

ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით დაიწყო დაცული ლანდშაფტის მართვის გეგმის შემუშავება პროექტის „ახალი ჰორიზონტები“- **ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტისა და მოსახლეობის ჰარმონიული განვითარებისთვის** ფარგლებში. გეგმა ითვალისწინებს ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვას და თემის ჩართულობის ზრდას.

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი წლიდან წლამდე უმჯობესდება: რეინჯერებმა ფოტო ხაფანგებით ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე მობინადრე სახეობები: მურა დათვი, შველი, ფოცხვერი, გარეული ღორი დააფიქსირეს.

**დაცული ლანდშაფტის** ეკო - საგანმანათლებლო კამპანიები მოიცავდა ტყის საერთაშორისო დღის კვირეულს, რომელსაც ათზე მეტი სკოლა და 150-ზე მეტი მოსწავლე ესწრებოდა.კვირეულის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები ადგილობრივ საჯარო სკოლებში, საგანმანათლებლო აქტივობა მოეწყო გორის კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის ბენეფიციარებისთვის.

დაიწყო თანამშრომლობა ადგილობრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და უნივერსიტეტთან რეინჯერის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით. მიმდინარე წელს რეინჯერებმა გაიარეს დრონის მართვის ტრენინგი და მიიღეს საჭირო ეკიპირება.

დასუფთავების არაერთი აქცია ჩატარდა ტანისა და თემმის დაცულ ტერიტორიებზე ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად.

2025 წელს ტანისა და თემმის დაცული ლანდშაფტის მართვის განყოფილებამ საერთაშორისო ორგანიზაცია *Caucasus Nature Fund* (CNF)-თან თანამშრომლობით დაიწყო SMART მონიტორინგის სისტემის დანერგვა. SMART (Spatial Monitoring and Reporting Tool) წარმოადგენს გლობალურად აღიარებულ ციფრულ პლატფორმას, რომელიც საშუალებას აძლევს რეინჯერებს ეფექტურად მართონ და დააფიქსირონ მონიტორინგისა და პატრულირების შედეგები, შეაფასონ საფრთხეები და გააძლიერონ რეაგირების მექანიზმები დაცულ ტერიტორიებზე.

სისტემის გამოყენება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დაცული ლანდშაფტის მართვის ხარისხს, განსაკუთრებით უკანონო ნადირობის, ტყის ჭრისა და სხვა სამართალდარღვევების პრევენციის მიმართულებით. SMART-ის საშუალებით შესაძლებელი იქნება რეალური დროის მონაცემების ანალიზი და ვიზუალიზაცია, რაც ხელს შეუწყობს სტრატეგიულ გადაწყვეტილებების მიღებას, რესურსების უკეთ გადანაწილებასა და რეინჯერების საქმიანობის ეფექტურობას.

ამ ეტაპზე რეინჯერები გადიან გადამზადებას SMART-ის სისტემის გამოყენების, მონაცემების შეგროვებისა და მათი ანალიზის მიმართულებით. ეს პროცესები ხელს შეუწყობს დაცული ლანდშაფტის ზედამხედველობის სტანდარტების საერთაშორისო დონეზე აყვანას და გაზრდის ადმინისტრაციის ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს.

2025 წლის აპრილში მოეწყო შეხვედრები ტანისა და თემმის დაცული ლანდშაფტის სოფლებში მცხოვრებ ადგილობრივებთან, მუზეუმებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან. შეხვედრების მიზანი იყო ლანდშაფტის ძირითადი ეკოლოგიური და კულტურული ფასეულობების იდენტიფიცირება და იმ საფრთხეების გამოვლენა, რომლებიც მათ ზიანს აყენებს. მიღებული დასკვნები გამოყენებული იქნება სამომავლო მართვის და პრიორიტეტების დაგეგმვის პროცესში.

ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებისა და ახალგაზრდების შემოქმედებითი ჩართულობის მიზნით, ტანისა და თემმის დაცული ლანდშაფტის მართვის განყოფილებამ მოაწყო ეკო-სცენარების კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდების ჩართულობას გარემოს დაცვის საკითხებზე დაფუძნებული ნარატიული და თეატრალური ფორმატების შექმნაში. კონკურსში მონაწილეობდნენ როგორც ინდივიდუალური მოსწავლეები, ასევე სკოლის გუნდები. წარმოდგენილი

სცენარები ასახავდა გარემოსდაცვით პრობლემებს, მათი გადაჭრის გზებს და თემის როლს ბუნების შენარჩუნებაში. შემოქმედებით მიდგომასთან ერთად, შეფასდა თემის შესაბამისობა, გარემოსდაცვითი ღირებულებების გამოხატულება და ინოვაციური იდეები. გამარჯვებული სცენარების ავტორებს გადაეცათ სერტიფიკატები და საპატიო საჩუქრები, ხოლო საუკეთესო ნამუშევრები დაინერგა ეკო-განათლების პროგრამებში.

დაცული ლანდშაფტის მართვის განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო როგორც ტურიზმის სეზონის გახსნის ღონისძიებაში, ასევე დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ რეგიონულ აქტივობაში. აღნიშნულ ღონისძიებებზე განყოფილებამ ფართო საზოგადოებას გააცნო ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიის მნიშვნელობა, რეინჯერების საქმიანობა, მათი აღჭურვილობა და დაცული ტერიტორიების ეკოსისტემური ფუნქცია. პრეზენტაციებმა ხელი შეუწყო საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებასა და ტურისტული ინტერესის ზრდას დაცულ ტერიტორიებზე. რეინჯერებმა დამთვალიერებლებს წარუდგინეს ყოველდღიური საქმიანობის ვიზუალური მასალა და უპასუხეს სტუმართა შეკითხვებს, რაც კიდევ უფრო გააღრმავა დაინტერესება დაცული ლანდშაფტის მიმართ.

დაცული ლანდშაფტის განყოფილებაში მიმდინარეობს საგამოფენო-საგანმანათლებლო ცენტრის მოწყობის პროცესი. აღნიშნული სივრცე იქნება ინტერაქტიური პლატფორმა, რომელიც ემსახურება როგორც ვიზიტორების ინფორმირებას ბიომრავალფეროვნების, კულტურული მემკვიდრეობისა და ეკოსისტემური სერვისების შესახებ, ასევე ადგილობრივი თემის, ახალგაზრდებისა და ტურისტების გარემოსდაცვით განათლებას.

ცენტრის არსებობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ლანდშაფტის ინტერპრეტაციას, შეამცირებს ვიზიტორების ზეწოლას ბუნებრივ გარემოზე და ხელს შეუწყობს თემისა და ვიზიტორების ცნობიერების ამაღლებას დაცული ტერიტორიების ღირებულებების შესახებ. ცენტრი აღიჭურვება თანამედროვე ვიზუალური, საგანმანათლებლო და ინტერპრეტაციული ელემენტებით, რაც ვიზიტორებს მისცემს შესაძლებლობას, უკეთ გაეცნონ ტანისა და თეძმის ლანდშაფტის უნიკალურობას.

## ფინანსური საქმიანობა

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტოს 2024 წლის ბიუჯეტი დაგეგმვის პროცესში განსაზღვრული იყო, როგორც გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ

დამტკიცებული სუბსიდია. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა 2024 წლის ასიგნება 1086360 ლარის ოდენობით,დაზუსტებული ბიუჯეტი განისაზღვრა 1309904 ლარის ოდენობით.

საშტატო განრიგი განისაზღვრა 31 საშტატო ერთეულით, თანამდებობრივი სარგო - 435588 ლარით. ასევე შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა განისაზღვრა 68 ერთეულით და შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივი სარგო 601487 ლარი.

2024 წლის განმავლობაში გადარიცხვითი ოპერაციები განხორციელებულია კანონმდებლობის შესაბამისად.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს მიერ 2024 წლის განმავლობაში მუხლობრივად გაწეული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

7. შრომის ანაზღაურების მუხლში (საშტატო განრიგის მიხედვით) დაიხარჯა - 407580 ლარი;
8. ჯილდო-პრემიის მუხლში - 27148 ლარი;
9. დანამატი - 353 ლარი;
10. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში დაიხარჯა 600897 ლარი,მ.შ პრემია - 42446 ლარი;დანამატი - 1396 ლარი;
4. მივლინების მუხლში ქვეყნის შიგნით - 7307 ლარი;
5. მივლინების მუხლში ქვეყნის გარეთ - 4858 ლარი;
6. ოფისის ხარჯის მუხლში - 78520 ლარი;
7. ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის მუხლში 28842 ლარი;
8. სხვა დანარჩენი საქ. და მომსახ. მუხლში – 28549 ლარი;
9. წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლში - 12039 ლარი.
10. სოციალური უზრუნველყოფის მუხლში - 11095 ლარი;
11. სხვა ხარჯების მუხლში - 420 ლარი;

12. არაფინანსური აქტივებიდან– 64265 ლარი;

რაც შეეხება საკუთარ შემოსულობებს, ნაშთი წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 11327 ლარს,2024 წლის განმავლობაში შემოსულმა თანხებმა შეადგინა 8546 ლარი,მ.შ ევროკომისიის ევროპის სოლიდარობის კორპუსის (ESC) პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის: აღმოაჩინე კავკასია" განსახოციერლებლად, სააგენტოს სასარგებლოდ ჩაირიცხა მოპოვებული გრანტის ტრანში 7612,64 ლარის ოდენობით,

საკუთარი სახსრების წყაროდან დაიხარჯა - 14929 ლარი.

სააგენტოს თანხების ხარჯვა ხორციელდება წინასწარ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.

2025 წლის ბიუჯეტი დაგეგმვის პროცესში განსაზღვრული იყო, როგორც გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დამტკიცებული სუბსიდია. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა 2025 წლის ასიგნება 1322400 ლარის ოდენობით,დაზუსტებული ბიუჯეტი განისაზღვრა 1309904 ლარის ოდენობით.

საშტატო განრიგი განისაზღვრა 32 საშტატო ერთეულით, თანამდებობრივი სარგო - 540700 ლარით. ასევე შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა განისაზღვრა 76 ერთეულით და შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივი სარგო 670479 ლარი.

2025 წლის 01 იანვრიდან 16 მაისამდე პერიოდში გადარიცხვითი ოპერაციები განხორციელებულია კანონმდებლობის შესაბამისად.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს მიერ 2025 წლის 01 იანვრიდან 16 მაისამდე პერიოდის განმავლობაში მუხლობრივად გაწეული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

11. შრომის ანაზღაურების მუხლში (საშტატო განრიგის მიხედვით) დაიხარჯა - 151355 ლარი;
12. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში დაიხარჯა

242812 ლარი;

4. მივლინების მუხლში ქვეყნის შიგნით - 2930 ლარი;

5. ოფისის ხარჯის მუხლში - 36749 ლარი;

7. ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის მუხლში 11387 ლარი;

8. სხვა დანარჩენი საქ. და მომსახ. მუხლში – 551 ლარი;

9. წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლში - 1920 ლარი.

10. სოციალური უზრუნველყოფის მუხლში - 653 ლარი;

11. სხვა ხარჯების მუხლში - 175 ლარი;

12. არაფინანსური აქტივებიდან– 7530 ლარი;

რაც შეეხება საკუთარ შემოსულობებს, ნაშთი წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 4986 ლარს.

2025 წლის განმავლობაში საკუთარ შემოსავლებში ბრუნვებს ადგილი არ ქონია.

**შესყიდვები**

2024 წლის შესყიდვების წლიურ გეგმა შეადგენს 315000 ლარს.

2024 წლის განმავლობაში განხორციელდა 154 შესყიდვა, საიდანაც 144 შესყიდვაა გამარტივებული შესყიდვა მონეტარული ზღვრის დაცვით, სახელშეკრულებო ღირებულებით 180872,37 (ასოთხმოციათასრვაასსამოცდათორმეტი ლარი და 37 თეთრი) ლარი და 9 შესყიდვა კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში, სახელშეკრულებო ღირებულებით 21037,47 (ოცდაერთიათასოცდაჩვიდმეტი ლარი და 47 თეთრი) ლარი და ერთი ტენდერი სახელშეკრულებო ღირებულებით 26764,6 (ოცდაექვსიათასშვიდასსამოცდაოთხი ლარი და 60 თეთრი).

2025 წლის 14 მაისის ჩათვლით ტენდერი არ გამოგვიცხადებია, ხოლო გამარტივებული შესყიდვით გაფორმებული გვაქვს 36 ხელშეკრულება აქედან 33 გამარტივებული შესყიდვა ღირებულებით 42998,3 (ორმოცდაორი ათას ცხრაასოთხმოცდათვრამეტი ლარი და 30 თეთრი) და 3 კონსოლიდირებული ტენდერის მეშვეობით ღირებულებით 17400.68 (ჩვიდმეტიათასოთხასი ლარი და 68 თეთრი).

## საქმის წარმოება

სააგენტოში შემოსულია 293 (ორას ოთხმოცდაცამეტი) წერილი, რომელიც გატარდა და გადაეცა შემდგომი რეაგირებისთვის, ასევე იწარმოა  გასული დოკუმენტაციის რეესტრი, რომლის შედეგადაც სააგენტოდან გასულია 296 (ორას ოთხმოცდათექვსმეტი) წერილი .ასევე იწარმოვა ბრძანებები, სააგენტოს მიერ გაცემულია 180 (ას ოთხმოცი) ბრძანება .სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილებისათვის ხდებოდა წერილების დროული მიწოდება და რეესტრი, ასევე მათი წერილების აღრიცხვა და შესრულების ვადების მონიტორინგი.

ასევე უზრუნველყოფილ იქნა თანამშრომელთა სამივლინებო დოკუმენტაციის მოწესრიგება, ტაქსით სარგებლობის ტალონების აღრიცხვა მოწესრიგება და შემდგომში ბუღალტერისთვის გადაცემა. კერძოდ გაცემულია 118 (ას თვრამეტი) ტალონი.

2025 წლის განმავლობაში იწარმოა შემოსული დოკუმენტაციის რეესტრი, რომლის შედეგადაც სააგენტოში შემოსულია 119 (ასცხრამეტი) წერილი, რომელიც გატარდა  და გადაეცა შემდგომი რეაგირებისთვის, ასევე იწარმოა  გასული დოკუმენტაციის რეესტრი, რომლის შედეგადაც სააგენტოდან გასულია 126 (ასოცდაექვსი) წერილი . ასევე იწარმოვა ბრძანებები, სააგენტოს მიერ გაცემულია 94 (ოთხმოცდათოთხმეტი) ბრძანება .სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილებისათვის ხდებოდა წერილების დროული მიწოდება და რეესტრი, ასევე მათი წერილების აღრიცხვა და შესრულების ვადების მონიტორინგი.

ასევე უზრუნველყოფილ იქნა თანამშრომელთა სამივლინებო დოკუმენტაციის მოწესრიგება და შემდგომში ბუღალტერისთვის გადაცემა..

ამ დროის მანძილზე ხორციელდებოდა  თანამშრომელთა საჭიროებების კვლევა, რათა ხელი არ შეშლოდათ გამართულ ფუნქციონირებაში.

მოწესრიგდა და ელექტრონულად დაარქივდა თანამშრომელთა პირადი საქმეები.

მიმდინარეობს არქივის გადახედვა და ჩამოსაწერი დოკუმენტაციის  გადაცემა შესაბამის დაწესებულებაში.

ასევე ხორციელდება დაწყებულ საქმიანობებზე მონიტორინგი.

## შრომის უსაფრთხოება

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტოში შრომის უსაფრთხოების საკითხები მკაცრად რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. მომზადდა და დამტკიცდა რამდენიმე შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი: შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, რისკის შეფასების წესი და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

დოკუმენტების საფუძველზე სააგენტოში განხორციელდა:

- შენობების პერიოდული შემოწმება კონსტრუქციული მედეგობისა და საინჟინრო-ტექნიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით;
- სისტემატური მონიტორინგი საფრთხეების აღმოჩენის და რისკების შეფასების მიზნით;
- სახანძრო უსაფრთხოების გაძლიერება შესაბამისი ინვენტარით;
- თანამშრომლების გადამზადება პირველადი სამედიცინო დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის თემატიკაზე გარემოს დაცვის სამინისტროს პროექტის ფარგლებში;
- საევაკუაციო გეგმარების და საინფორმაციო ნიშნების მომზადება;
- უსაფრთხოების სპეციალური ჟურნალების შესყიდვის მოთხოვნა, რაც უზრუნველყოფს ჩატარებული ტრენინგების, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვას.

შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვა მიზნად ისახავს სააგენტოში უსაფრთხო და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას, რისკების შემცირებას და საგანგებო სიტუაციებზე სწრაფ რეაგირებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბუნებრივ გარემოში მომუშავე რეინჯერებისა და საველე პერსონალისთვის.

**სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფა**

2025 წლის 1 იანვრიდან 19 მაისამდე პერიოდში განყოფილებაში მერიიდან შემოვიდა 78 წერილი და მომზადდა 48 საპასუხო წერილი. ყველა დოკუმენტი აღირიცხა როგორც ჟურნალში, ისე ელექტრონულ ბაზაში. 2024 წლის საანგარიშო პერიოდში კი განყოფილებამ მიიღო 175 წერილი და გასცა 159 საპასუხო წერილი.

2024 წლის ივნისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით შესრულდა მნიშვნელოვანი ტექნიკური სამუშაოები, მათ შორის:

- მომზადდა საკადასტრო ნახაზები 3,294,282 კვ.მ ფართობისთვის;
- შედგა 8 სიტუაციური ნახაზი საერთო ფართობით 1609 კვ.მ;
- დაკვალულ იქნა 252 წერტილი, ჯამში 6040 კვ.მ;
- შესრულდა შიდა აზომვითი ნახაზები 6543.89 კვ.მ ფართობით;

- დაკვალული იქნა 2750 მ სიგრძის ხაზოვანი ნაგებობები და 120 ბოძი;
- განხორციელდა მიწის ნაკვეთის გადამოწმება;
- შემუშავდა წმინდაწყლის დასახლებაში ახალი დასვენების პარკის დიზაინის კონცეფცია და გეგმარება, 133,162 კვ.მ ფართობზე.

სააგენტომ უზრუნველყო სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლებისთვის სპეციალური სამუშაო ფეხსაცმლის შეძენა და მათი სერტიფიცირება. აღნიშნულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო სამუშაო პროცესის უსაფრთხოებისა და პროფესიული სტანდარტების გაუმჯობესებას.

აღნიშნული საქმიანობები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გორის მუნიციპალიტეტში მიწის მართვის, ინფრასტრუქტურის დაგეგმარებისა და ურბანული განვითარების პროცესების გამართულად წარმართვას.

ევროკავშირი
საქართველოსთვის

MAYORS FOR ECONOMIC GROWTH

UNDP

# გორის მუნიციპალიტეტი

## საინვესტიციო კატალოგი



გორის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო კატალოგი მომზადდა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ მხარდაჭერით „საინვესტიციო და დაფინანსების მზაობის აკადემიის“ ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია გორის მუნიციპალიტეტის მერია და შესაძლოა  არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.

ფოტომასალა მოწოდებულია გორის მუნიციპალიტეტის მიერ ან მოპოვებულია ღია წყაროებიდან.




*მოგესალმებით!*

*მსურს, გულითადად მოგიწვიოთ ჩვენს უნიკალურ და შესაძლებლობებით სავსე მუნიციპალიტეტში, რომელიც საქართველოს გულში მდებარეობს. სტრატეგიული მდებარეობა გორს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ქვეყნის სატრანსპორტო და ლოგისტიკურ განვითარებაში.*

*მუნიციპალიტეტში დიდწილად მოწესრიგებულია საგზაო, კომუნალური და სამეურნეო ინფრასტრუქტურა. ჩვენი მუნიციპალიტეტი მხოლოდ 75 კილომეტრითაა დაშორებული დედაქალაქ თბილისთან. ამას გარდა, გორს რკინიგზაც აკავშირებს სხვა რეგიონებთან, რაც დამატებით უწყობს ხელს სატრანსპორტო კავშირების სიმყარეს.*

*გორის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ბიზნესის კეთების ხელსაყრელი პირობებით და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების სიმრავლით, რომელთა მომზადება - გადამზადებას ორ უმაღლეს სასწავლებელთან ერთად ქალაქში არსებული პროფესიული სასწავლებლები უზრუნველყოფენ.*

*აღსანიშნავია, რომ 2023 წელს გორის მუნიციპალიტეტში შეიქმნა ტანისა და თეძმის დაცული ტერიტორიები. ქალაქ გორის სიახლოვეს მდებარე ეს უნიკალური ბუნებრივი გარემო ქმნის იდეალურ პერსპექტივას ეკოტურიზმისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით.*

*მუნიციპალიტეტმა ხელი მოაწერა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაციის შეთანხმებას, რაც ჩვენს მხარეს მიმზიდველსა და ხელსაყრელს ხდის გრძელვადიანი, გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური ინვესტიციებისთვის.2016 წელს განხორციელდა ინვესტიცია ქარის ელექტროსადგურების მიმართულებით, ეს კი მხოლოდ დასაწყისია ჩვენი მწვანე განვითარების გზაზე.*

*დასასრულს, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი არა მხოლოდ ღიაა ინვესტიციებისთვის, არამედ მზად არის უზრუნველყოს მუდმივი კონსულტაცია და მხარდაჭერა დაინტერესებული ორგანიზაციებისა და ინვესტორებისთვის.*

**სიმონ გულედანი**

*გორის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი*

# რატომ გორის მუნიციპალიტეტი?



სტრატეგიული, **ლოგისტიკური**, სატრანსპორტო და გეოგრაფიული მდებარეობა



უმაღლესი და პროფესიული **სასწავლებლები**



მოწესრიგებული **ინფრასტრუქტურა,** ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო სისტემები



საფინანსო და საჯარო ინსტიტუტების **ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა**



მზარდი **ტურისტული** დინამიკა

# საქართველოში ინვესტირების უპირატესობები



ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)

**27** ქვეყანა

**450+** მლნ მომხმარებელი



ჩინეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება

**0** საბაჟო გადასახადი

**1.4+** მლრდ მომხმარებელი

## საერთაშორისო რეიტინგი

**49** კორუფციის აღქმის ინდექსი

**5.2** დემოკრატიის ინდექსი

**68.4** ეკონომიკური თავისუფლება

**73** უსაფრთხოების ინდექსი

**33** პოლიტიკური სტაბილურობის ინდექსი

**7th** ბიზნესის კეთება

## საკრედიტო რეიტინგი

**BB** FITCH RATING

**BB** STANDARD & POORS

**Ba2** MOODY'S

# საქართველოში ინვესტირების ხელშემწყობი პროგრამები

ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოში სახელმწიფო დონეზე სხვადასხვა ღონისძიება ხორციელდება, რომელთა აღსრულებასაც არაერთი სახელმწიფო და კერძო ორგანიზაცია უზრუნველყოფს

## 1 აწარმოე საქართველოში

**ექსპორტის მხარდაჭერა**

პროდუქტის ლიცენზირება / სერტიფიცირება, ბრენდირება, საერთაშორისო ქსელში შესვლა

**ბიზნესის განვითარება**

საკრედიტო გარანტიები/სუბსიდირება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა**

დაინტერესებული ინვესტორების ინფორმირება

## 2 თანაინვესტირების ფონდი

საქართველოში არსებულ მზარდ ინდუსტრიებში საინვესტიციო პროექტების განხორციელება

## 3 საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

სააგენტოს მისიაა საქართველოში ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარებისთვის საჭირო ეკოსისტემის ფორმირება, ცოდნისა და ინოვაციის კომერციალიზაციის ხელშეწყობა

## 4 სოფლის განვითარების სააგენტო

- გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი
- მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა
- მაღალმთიან დასახლებებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა
- შეღავათიანი აგრო კრედიტი, ბიო წარმოების ხელშეწყობის პროგრამა



გორის იუსტიციის სახლი

# კატალოგის სტრუქტურა

1. ძირითადი მონაცემები
2. საპრივატიზაციო ქონება
3. განვითარების საპროექტო იდეები

# 1

# ძირითადი მონაცემები

# ზოგადი მახასიათებლები

## დემოგრაფია

**114.9**
მოსახლეობა (ათასი)

**51.7%** ქალი

**48.3%** კაცი

**20.5%** ახალგაზრდები

**1 336.3 კმ²** ფართობი

**10.9 °C** საშუალო წლიური ტემპერატურა

**585 მმ** წლიური ნალექის საშუალო რაოდენობა



# სტრატეგიული მდებარეობა

გორში გადის საქართველოს მთავარი სარკინიგზო მაგისტრალი, ხოლო ქალაქის სიახლოვეს ცენტრალური საავტომობილო გზა. ქ. გორიდან ნებისმიერი მიმართულებით მოსახერხებელია მგზავრობა, მატარებლით და სხვა საზოგადოებრივი ტრანსპორტით.



# სოციალურ-ეკონომიკური გარემო

## მუნიციპალიტეტის მოწინავე სფეროები

1. საბითუმო და საცალო ვაჭრობა
2. დამამუშავებელი მრეწველობა
3. სოფლის, სატყეო და თევზჭერის მეურნეობა
4. მშენებლობა

**11 240** ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა

**74 317** სამუშაო ძალა (15-დან 65 წლამდე)

**50+** ბანკომატი

**30+** ავტოგასამართი სადგური

**5** სავაჭრო ცენტრი



გორის ავტოსადგური

# განათლება

## პროფესიული პროგრამები



გორის სახელმწიფო
უნივერსიტეტი



დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული
თავდაცვის აკადემია

კოლეჯი განთიადი

გორის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტი

ქ. გორის სულხან ცინცაძის
სახელობის სამუსიკო კოლეჯი

ამერიკის
უნივერსიტეტის სკოლა

საზოგადოებრივი კოლეჯი
ამაგი

# ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲡ:

- ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
- ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲔᲬᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝ
- ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
- ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
- 20-ᲛᲓᲔ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲗᲔᲛᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ
- ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲤᲔ




“ხელოვნების სახლი”, გორი

# ჯანდაცვა

**68** ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულება

**5** საავადმყოფო და სამედიცინო ცენტრი

**20** სტომატოლოგიური კლინიკა

**916** ჯანდაცვის პერსონალი




სამედიცინო ცენტრი "გორმედი", გორი

# ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

**136**

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲫᲔᲒᲚᲘ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ

აქედან 53 მდებარეობს ქალაქ გორში

**13**

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ძეგლთა დიდ ნაწილს ეკლესია მონასტრები და ციხე-სიმაგრეები წარმოადგენს.

**7**

ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ

## ᲒᲝᲠᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ







გ. ერისთავის სახელობის თეატრი საქართველოში ერთ-ერთი უძველესი თეატრია, რომელიც დატვირთულია პრემიერებითა და თეატრალური ფესტივალებით



უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალი

# ბიზნეს საქმიანობის ხელშემწყობი გარემო

მუნიციპალიტეტში მოქმედ ბიზნესებს და ბიზნესის კეთებით დაინტერესებულ სუბიექტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ***ნებისმიერი ტიპის საბანკო/საკრედიტო მომსახურებით***, პროგრამებით, რომელიც ხელს უწყობს მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის განვითარებას.

მუნიციპალიტეტში წარმოდგენილია ქვეყნის მასშტაბით ***ყველაზე მსხვილი საფინანსო ინსტიტუტების*** რეგიონული ფილიალები, მიკრო საფინანსო ორგანიზაციები.

## სახელმწიფო სერვისები

სოფლის განვითარების სააგენტოს შიდაქართლის რეგიონული სამსახური
ფერაძის ქ. 5

გორის საქალაქო სასამართლო
სერგო ჯორბენაძის ქ. 30

შემოსავლების სამსახურის სერვისცენტრი
სამეფოს ქ. 50

იუსტიციის სახლი
გურამიშვილის ქ. 7

## სხვა სერვისები



★★★★★
სასტუმრო “გორი ინნ”



★★★★
სასტუმრო “სოლო გრანდი”

ავტომობილების გაქირავების მომსახურება

გორის მუნიციპალიტეტის მედიათეკა და მასთან არსებული შეხვედრების სივრცეები

მაღალი კლასის სასტუმროები

საკონფერენციო სივრცეები და ტრენინგ ცენტრები

## ლიცენზირებული კომერციული ბანკები

საქართველოს ბანკი | თიბისი ბანკი | პროკრედიტ ბანკი | ბაზის ბანკი
კრედო ბანკი | ლიბერთი ბანკი | ვითიბი ბანკი

## ადგილობრივი მედიასაშუალებები

რადიო
მოზაიკა

საინფორმაციო პორტალი
QARTLI.GE | გორის მაცნე

ტელეკომპანია
თრიალეთი | დია | მონიტორინგი

# მუნიციპალიტეტის ბიზნეს-გარემო

**5 916**
რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტი

**920.6 ₾**
ბიზნეს სექტორში დასაქმებულის საშუალო ანაზღაურება

**303.5 მლნ ₾**
მთლიანი ბრუნვა

**28.6 მლნ ₾**
ინვესტიციები




სავაჭრო ცენტრი “გორი მოლი”, გორი



# ინფრასტრუქტურა

## საგზაო ინფრასტრუქტურა

საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის უმეტეს ნაწილში. მუდმივად ახლდება საგზაო ინფრასტრუქტურა დასახლებულ პუნქტებში.

## ინტერნეტი ყველა სახლში

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია ინტერნეტ კავშირი (გარდა მაღალმთიანი თემებისა)

## 20.7 მეგავატი

გორში მოქმედებს სამხრეთ კავკასიაში პირველი კომერციული ქარის ელექტროსადგური. იგი შედგება ექვსი ერთეული 90 მეტრზე მეტი სიმაღლის ტურბინისგან და მისი სიმძლავრე 20,7 მეგავატია

## 95%

მუნიციპალიტეტის 95% ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია კომუნალური ინფრასტრუქტურა: სასმელი წყალი, ელექტრო ენერგია, ბუნებრივი აირი

ქარის ელექტროსადგური, გორი

# მუნიციპალიტეტის ეკონომიკის წამყვანი დარგები

| დარგების მიხედვით მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სუბიექტების წილი საქართველოში** | დარგში რეგისტრირებული სუბიექტების წილი მუნიციპალიტეტში* |
|---|---|
| 6% | **29%** საბითუმო და საცალო ვაჭრობა / ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი |
| 2% | **6%** დამამუშავებელი მრეწველობა |
| 2% | **5%** ტრანსპორტი და დასაწყობება |
| 2% | **4%** მშენებლობა |
| 7% | **4%** სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა |




* ქვეყნის მიხედვით

** მუნიციპალიტეტის მიხედვით

## სუბიექტების რაოდენობა მუნიციპალიტეტში ეკონომიკის წამყვანი საქმიანობების მიხედვით

**5 861**
საბითუმო და საცალო ვაჭრობა

**1 243**
დამამუშავებელი მრეწველობა

**1 047**
ტრანსპორტირება და დასაწყობება

# მიწის აქტივი და გამოყენების პოტენციალი

**5%**

იჯარის ქირა განისაზღვრება ქონების საპრივატიზაციო ღირებულების არანაკლებ წლიური 5%-ის ოდენობით

**34 ჰა**

77 საპრივატიზაციო ობიექტის საერთო ფართობი

სასოფლო-სამეურნეო მიწის განაწილების სტატისტიკა



**70%** სახელმწიფო საკუთრება

**30%** კერძო საკუთრება

**85%** დამუშავებული

**15%** დაუმუშავებელი

**64 409 ჰა** სახნავი

**2 100 ჰა** საძოვარი

**25 500 ჰა** სათესი

# მუნიციპალიტეტის რესურსები

**10** ტბა

**5** მდინარე

**1** წყალსატევი

**93 277 ჰა** ტყის ფონდი

**თერმული წყაროები**, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ და აქვს გამაჯანსაღებელი ეფექტი

მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე მოიპოვება **მიწისქვეშა მტკნარი წყლები**

მუნიციპალიტეტს აქვს **რძის პროდუქტების** წარმოების მაღალი პოტენციალი

მუნიციპალიტეტში მდებარეობს 1 მიკროზონა, სადაც **იწარმოება ყურძენი**



**ნედლეულის მოცულობა (მ³)**

**50 მლნ** ქვიშა ხრეში

**4 მლნ** ქვიშაქვა

**2 მლნ** სააგურე თიხა

**1 მლნ** დიაბაზი

# მუნიციპალიტეტის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები



# ძირითადი გადასახადები

% მოცემულია პროცენტული მონაცემები

**18** დამატებული ღირებულების გადასახადი

**20** საშემოსავლო გადასახადი

**0/5/12** იმპორტის გადასახადი

**0/15** მოგების გადასახადი

**2** საპენსიო შენატანი (დამსაქმებლის წილი)

## ქონების გადასახადი

**0.096-0.36 ₾/მ²**

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - მინიმალური და მაქსიმალური წლიური გადასახადის განაკვეთები

**1%**

საწარმოსთვის / ორგანიზაციისთვის - დასაბეგრი ქონების ღირებულების 1% (კონკრეტულ შემთხვევებში ზრდადი).

## კომუნალური გადასახადები

**1.25 ₾/მ³**
ბუნებრივი აირი

**0.28 ₾/კვტსთ**
ელექტრო ენერგია

**0.26-3.86 ₾ / სექტორის მიხედვით**
ნარჩენების მართვის მოსაკრებელი

**4.31 ₾/ლ³**
წყალი

## საგადასახადო შეღავათები

### მაღალმთიანი საწარმოს სტატუსი

მუნიციპალიტეტის მაღალმთიან ტერიტორიაზე მოქმედ საწარმოებს შეუძლიათ ისარგებლონ მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსით, რაც გულისხმობს შეღავათებს მოგების, საშემოსავლო და ქონების გადასახადებზე:

**0%** მოგების გადასახადი

**0%** საშემოსავლო გადასახადი

**0%** ქონების გადასახადი

- საერთაშორისო კომპანიებს შეუძლიათ ისარგებლონ **საერთაშორისო კომპანიის სტატუსით**, რაც გულისხმობს საშემოსავლო, მოგებისა და დღგ-ს შეღავათებს.
- **სოფლის მეურნეობის** პროდუქციის პირველადი მიმწოდებლები გათავისუფლებულნი არიან დღგ-სგან.
- **საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპანიებს** შეუძლიათ მოიპოვონ ვირტუალური ზონის პირის სტატუსი და ისარგებლონ თანამდევი საგადასახადო შეღავათებით.
- უახლოეს მომავალში ამოქმედდება მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები **ინოვაციური სტატუსის მქონე სტარტაპებისა** და მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის.

# ტურიზმი

გორის მუნიციპალიტეტს აქტიურად სტუმრობენ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ვიზიტორები.



**უფლისციხე**

ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი

**143 000**

ვიზიტორი ყოველწლიურად



**ი. სტალინის სახელმწიფო მუზეუმი**

**138 000**

ვიზიტორი ყოველწლიურად

## ტურიზმის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა

- **10** მაღალი კლასის სასტუმრო
- **900** საწოლი ადგილი
- **2** ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი
- **5** სავაჭრო ცენტრი
- **2** ბაზრობა

# ტურიზმის განვითარების პოტენციალი



ფლორასა და ფაუნის მრავალფეროვნება



ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები



300-ზე მეტი ეკლესია-მონასტერი



ტბები და ჩანჩქერები



უნიკალური ეთნოგრაფიული კულტურა, სამზარეულო და ღვინო



განსაკუთრებული სპორტული მიღწევები

# 2

# საპრივატიზაციო ქონება




## საპრივატიზაციო ქონების მდებარეობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე




# 1

**მდებარეობა**

გორის მუნიციპალიტეტი,
სოფელი ხიდისთავი

**საკადასტრო კოდი**

66.58.03.001

**საწყისი ღირებულება**

510 000 ₾

**მესაკუთრე**

გორის მუნიციპალიტეტი

**დანიშნულება**

არასასოფლო-სამეურნეო

**პოტენციური დანიშნულება**

ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ( სასტუმრო, რესტორანი, გოლფის მოედანი)



# 2

**მდებარეობა**
გორის მუნიციპალიტეტი,
სოფელი მარანა

**საკადასტრო კოდი**
66.48.13.021

**საწყისი ღირებულება**
38 600 ₾

**მესაკუთრე**
გორის მუნიციპალიტეტი

**დანიშნულება**
არასასოფლო-სამეურნეო

**პოტენციური დანიშნულება**
აგრო სამეურნეო და
ტურისტული სერვისის შექმნა



# 3

**მდებარეობა**

გორის მუნიციპალიტეტი,
სოფელი ატენი

**საკადასტრო კოდი**

66.60.12.249

**საწყისი ღირებულება**

81 000 ₾

**მესაკუთრე**

გორის მუნიციპალიტეტი

**დანიშნულება**

არასასოფლო-სამეურნეო

**პოტენციური დანიშნულება**

აგრო სამეურნეო და
ტურისტული სერვისის შექმნა

# 3

# განვითარების საპროექტო იდეები



# გორის სპორტის მუზეუმი

გამოსახულება შექმნილია Urbanist AI პლატფორმის საშუალებით

# გორის სპორტის მუზეუმი

## პროექტის აღწერა

გორის სპორტის მუზეუმი მოიცავს როგორც წარმატებულ გორელ სპორტსმენებთან - ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებთან დაკავშირებულ, ისე გორის მუნიციპალიტეტში სპორტული ცხოვრების ამსახველ ექსპონატებს.

მულტიმედია/ვიზუალური ექსპონატებით დამთვალიერებელს, საშუალება ექნება, გაეცნოს გორისა და ზოგადად ქართული სპორტის ისტორიას, ტრადიციებს, თანამედროვეობას.

მუზეუმში მოეწყობა სპორტული ბიბლიოთეკა, სადაც განთავსდება ქართული და უცხოური სპორტული ლიტერატურა, აგრეთვე სპორტული ფოტო და ვიდეო-არქივი.

მოეწყობა სპორტული მაღაზია (ფან შოპი), რომელშიც მსურველს შეეძლება შეიძინოს ქართულ სპორტთან დაკავშირებული ატიბუტიკა, ინვენტარი, სუვენირები, ნივთები.

მუზეუმში იქნება საპრესკონფერენციო დარბაზი, სივრცე შეხვედრებისთვის, ტრენინგებისა და სემინარებისათვის.

## პროექტის მიზნები

- გორის მუნიციპალიტეტში სპორტული ტურიზმის და ეკონომიკის განვითარება
- სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია
- ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წახალისება

## პროექტის ინოვაციურობა

მუზეუმი ვიზიტორებს შესთავაზებს ინოვაციურ თამაშებს, ციფრული სერვისებისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით კი, მათ საშუალება მიეცემათ შეიგრძნონ სპორტსმენთა სავარჯიშო და საშეჯიბრო გარემო.



## ვინ იქნება პროექტის მოსარგებლე

გორის მუნიციპალიტეტის და საქართველოს მოსახლეობა, უცხოელი ტურისტები, ქალაქში გამართულ შეჯიბრებებსა და ერთობლივ წვრთნებზე სტუმრად მყოფი სპორტსმენები, გუნდები, აგრეთვე ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები, სპორტული საზოგადოება და კლუბები.

პროექტით პირდაპირ მატერიალურ სარგებელს ქალაქის 100-მდე მცხოვრები მიიღებს.

**2**
**მლნ ₾**
**ღირებულება**

**1-2**
**წელი**
**ხანგრძლივობა**

## სოციალური ეფექტი

წარმატებული ადგილობრივი სპორტსმენების ცხოვრების, კარიერის გაცნობა ახალგაზრდებისთვის გახდება მისაბაძი მაგალითი და შთააგონებს მათ სპორტული და პირადი მიზნების მისაღწევად. მუზეუმს შეუძლია ბიძგი მისცეს ახალგაზრდებს, ჩაერთონ სპორტულ აქტივობებში, მოხალისეობრივი ჩართულობით ითამაშონ გარკვეული როლი ღონისძიებებისა და პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

## ეკონომიკური ეფექტი

გორის სპორტის მუზეუმის დაარსება დადებით გავლენას მოახდენს მუნიციპალიტეტის ეკონომიკაზე, შექმნის სამუშაო ადგილებს, მოხდება სპორტის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. ყველაფერი ეს კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს რეგიონში ეკონომიკის, სპორტის და სხვადასხვა სფეროს განვითარებაში.

მუზეუმში გაყიდული ბილეთებით, სპორტული მაღაზიით (ფან შოპით), სატრენინგო სივრცით - შეიქმნება ქალაქის ბიუჯეტში შემოსავლის ახალი ნაკადი.

მუზეუმის ფუნქციონირება, ხელს შეწყობს სპორტული ტურიზმის განვითარებას, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მცირე და დიდი სასტუმროების შემოსავლის ზრდასთან და შესაბამისად, ქალაქის ბიუჯეტის და ეკომონიკის ზრდასთან.

# ᲛᲣᲚᲢᲘᲤᲣᲜᲥᲪᲘᲣᲠᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

## ᲓᲐᲪᲣᲚᲘ ᲚᲐᲜᲓᲨᲐᲤᲢᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ

## ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ

სოფელ ბოშურში არსებული უძრავი ქონება დაინტერესებულ ინვესტორებს საშუალებას აძლევს განავითარონ მულტიფუნქციური ცენტრი, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას შესთავაზებს მათ საჭიროებაზე მორგებულ პროგრამებსა და სერვისებს;

დაინტერესებულ ორგანიზაციებს და მოქალაქეებს გაუწევს მომსახურებას ტრენინგ ცენტრით და საკონფერენციო სივრცეებით. ცენტრში წარმოდგენილი იქნება სასტუმროს ნომრები, ღია და დახურული ეკო საგანმანათლებლო სივრცეები; საინფორმაციო ცენტრი დაცული ტერიტორიების სტუმრებისთვის.



## ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ

1. ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲝ-ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ
2. ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ
3. ᲓᲐᲪᲣᲚᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘ
4. ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

გამოსახულება შექმნილია Image Generator Pro პლატფორმის საშუალებით

## ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘ

- გაზრდილი ვიზიტორთა რაოდენობა (წელიწადში დამატებით 3 000 ვიზიტორი)
- ადგილობრივი პროდუქციით, გამყოლებით, საოჯახო სასტუმროებით დაინტერესება
- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესული გადასახადები
- ადგილობრივი მოსახლეობის გაძლიერებული უნარები პროგრამებში მონაწილეობის შედეგად

## ᲕᲘᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲔ

მულტიფუნქციურ ცენტრში 12 ადამიანი დასაქმდება. ცენტრის თანამშრომლები კოორდინაციას გაუწევენ სერვისების მიწოდებას. პროექტის განხორციელებით ისარგებლებს როგორც ადგილობრივი მოსახლეობა ასევე ტურისტები და ის ორგანიზაციები რომლებიც კორპორატიული შეკრებებით არიან დაინტერესებული.

## ᲒᲝᲠᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲝ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ


gori.gov.ge

ᲒᲝᲠᲘ, ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲤᲔᲠᲐᲫᲘᲡ 5

info@gori.gov.ge

598 26 00 01


## ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲑᲛᲣᲚᲔᲑᲘ

ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

www.enterprisegeorgia.gov.ge

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ

www.rda.gov.ge

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲜᲐᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ

www.gcfund.ge

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

www.economy.ge

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ

www.nasp.gov.ge